

# შპს „ლუკოილ ჯორჯია“ აცხადებს ტენდერს

## უწყვეტი კვების ბლოკების (UPS) შესყიდვაზე

### ტენდერის პირობები

#### თავი I. ზოგადი ინფორმაცია

1. მოთხოვნილი აღჭრვილობა:  
მწარმოებელი: APC by Schneider Electric;  
მოდელები – APC UPS 3000VA frequency 45-65 Hz – 10 ცალი;  
APC 2000VA frequency 45-65 Hz – 32 ცალი; Input Voltage 160-300V;  
(აუცილებელია კონექტორის არსებობა (4ც) ტიპი Schuko (Battery Backup));
2. მოწოდების ადგილი - შპს „ლუკოილ-ჯორჯია“-ს სათაო ოფისი;
3. ანაზღაურება განხორციელდება აღჭრვილობის სრულად მოწოდებიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში;
4. მოწოდების ვადა - 45 კალენდარული დღე;
5. საგარანტიო მომსახურების ვადა - 2 წელი, საქართველოში ავტორიზებული სერვის ცენტრის წერილობით დადასტურებული საგარანტიო წერილით.

#### თავი II. სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

##### 1. ზოგადი ნაწილი - კომპანიის (პრეტენდენტის) რეკვიზიტები:

- აუცილებელი პირობა - პრეტენდენტი უნდა იყოს რეზიდენტი კომპანია.
- კომპანიის სრული დასახელება
- იურიდიული მისამართი
- ფაქტობრივი მისამართი
- ტელ., ფაქსი, ელ-ფოსტა
- საკონტაქტო პირი
- საბანკო რეკვიზიტები
- მონაცემები კომპანიის ხელმძღვანელი პირების შესახებ.

##### 2. ტენდერში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი საკვალიფიკაციო დოკუმენტები:

- ამონაწერი კომერციული(სამეწარმეო) რეესტრიდან პრეტენდენტის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობა გადახდისუნარიანობის შესახებ;
- შესაბამისი ორგანოების ცნობები ლიკვიდაცია-რეორგანიზაციის თაობაზე საქმისწარმოების შესახებ;
- ცნობა საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ ;
- ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების შესახებ;
- პრეტენდენტის ინსტრუქცია - ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი;

##### 3. კომერციული წინადადება

- ტენდერის მონაწილის განცხადება უნდა სრულად შეიცავდეს მოთხოვნილი რაოდენობის შესაბამისი მოსაწოდებელი აღჭრვილობის და მისი მოწოდების ღირებულებას ყველა გადასახადების და მოსაკრებლების ჩათვლით (მათ შორის დღგ).

#### თავი III. სატენდერო პროცედურები

1. ტენდერის ჩატარება ორ ეტაპად, ღია ვაჭრობით.
  - 1.1. ტენდერის ჩატარების თარიღი - 2020 წლის 25 აგვისტო 15:00 სთ.

- 1.2. ტენდერის ჩატარების ადგილი - ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო. გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია, შპს „ლუკოილ ჯორჯია“-ს ოფისი.
- 1.3. ტენდერში მონაწილეებმა **სამუშაო დღეებში 11:00-დან 13:00-სთ-მდე 2020 წლის 20 აგვისტომდე** დალუქულ კონვერტებში უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადება თანმხლებ წერილთან (დანართი 1) ერთად. პრეტენდენტის კონვერტები წარმოდგენილი უნდა იყოს „პრეტენდენტის ინსტრუქციის“ 12.3 მუხლის შესაბამისად. კონვერტებზე მითითებული უნდა იყოს პრეტენდენტის დასახელება და მასში არსებული მასალის აღნიშვნა.
- 1.4. მონაწილეების მიერ კონვერტები წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია, შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ ოფისი.
- 1.5. ტენდერში მონაწილეობას დებულობს პრეტენდენტი ორგანიზაციიდან არაუმეტეს 2 წარმომადგენელი.
- 1.6. კომერციული წინადადებების კონვერტები გაიხსნება ტენდერზე რის შემდეგაც პრეტენდენტებს შორის გაიმართება ღია ვაჭრობა.

#### **თავი IV. განსაკუთრებული პირობები**

1. ხელშეკრულება დაიდება იმ პრეტენდენტთან რომელიც სრულად დააკმაყოფილებს სატენდერო კომიტეტის მოთხოვნას.
2. ხელშეკრულება გამარჯვებულთან გაფორმდება ღია ვაჭრობის დასრულებიდან და სატენდერო კომიტეტის გადაწყვეტილებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.
3. თუკი პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები იქნება არასწორი ან არასრულყოფილი იგი იქნება დისკვალიფიცირებული.
4. წინადადებების განხილვისას, საჭიროების შემთხვევაში კომისია უფლებას იტოვებს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია. პრეტენდენტის მიერ მითითებულ ვადაში დამატებითი დოკუმენტაციის წარუდგენლობის შემთხვევაში იგი ჩაითვლება დისკვალიფიცირებულად.
5. პრეტენდენტების მიერ სატენდერო წინადადების მომზადების პროცესში გაწეული ხარჯები კომპანიის მიერ არ ანაზღაურდება, მიუხედავად იმისა დაიდება თუ არა ხელშეკრულება.
6. კომპანია არ არის ვალდებული პრეტენდენტებს განუმარტოს თავისი გადაწყვეტილების საფუძველი ტენდერის ჩაშლასთან ან საბოლოო შედეგებთან დაკავშირებით.
7. კომპანია არ იღებს ვალდებულებას აუცილებლად დადოს ხელშეკრულება კონკურსში მონაწილე რომელიმე პრეტენდენტთან.

საკონტაქტო პირი:

ევგენი ლიმაწოვი (რუსულ/ინგლისურ ენოვანი)

მობ : 595-333-223